№ 239
შაბათი, 6 ნოემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 239
შაბათი, 6 ნოემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. ქუთაისში
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
**სალომე ი. კერესელიძე**
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—17)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—24)

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ბ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

**ექიმი**
**კ. ს. გძელიშვილი**
მიიღებს
**ყელისა, ცხვირისა და ყურით**
ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—70)

კვირას, 7-ს ნოემბერს, „პურ-ღვინოში“, დანიშნულია ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

**„შუამავალის“**

წევრთა კრება. კრებაზედ ლაპარაკი იქნება, „შუამავალის“ მაღაზიის უკეთესს ალაგზედ გადატანისა და მის გაუმჯობესობა—გაფართოების შესახებ. კრება დაიწყება საღამოს 7-ს საათზედ.

ამხანაგობის წევრთ ცალკე მოწვევის ბარათები არ გაეგზავნებათ. (2—6.—1)

## ახალი ამბავი

*** განსვენებულ ნ. ე. ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევ თანხიდგან, რომელიც 217,400 მანეთის სარგებლის ქაღალდებს შეიცავს, ქალაქის გამგეობამ 138,500 მან. სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეიტანა შესანახად, ხოლო 80,900 მან. შეინახა ქალაქის კასსაში.

*** ტფილისის გუბერნიის უფროსმა სთხოვა ქალაქის მოურავს, ღონისძიება იხმარეთ, რაც შეიძლება საჩქაროდ იქმნას შესრულებული ჩემი წინადადება წყალდიდობისაგან რიყის გამაგრების შესახებაო.

*** ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო გაიმართოს ყოველ წლივ საზოგადო წლიური აქტი ქალაქის პირველ-დაწყებითის სკოლებისათვის და ამ საგნისათვის ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში მომატებულ იქმნას კრედიტი 1,500 მანეთამდე.

*** რადგან ქალაქში ყელის ტკივილი გაძლიერდა და გადამდებ სენთა ფარდული მთლად აივსო ავადმყოფებით, ამის გამო ასეთ ავადმყოფთათვის ამ ჟამად დაარსდა ახალი ფარდული.

*** მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით 1900 წლის გაზაფხულზედ ტფილისის საბოტანიკო ბაღიდგან 10,000 ძირი სხვა-და-სხვა ჯიშის დამყნილი ხეხი-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

ამერიკელ ინჟენერების პროექტი—ცხოვრება ასის წლის შემდეგ.—სეტყვა და ზარბაზანი.—„ერთი პირი მარგებელია“.

ეს ამერიკელები სწორედ რომ საოცარი ხალხია! ისე დღე არ გავა, რომ მათ ახალი რამე არ გამოიგონონ და ქვეყანა არ გააკვირვონ. ფულითა და ცოდნით აღჭურვილს ამერიკელს, დღეს შეუძლებლად აღარაფერი მიაჩნია. ამერიკელმა თავისს სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ ყველაფერი გამოიყენა, რაც აქამდის გამოუსადეგარად ითვლებოდა. ეხლა ესეც აღარ აკმაყოფილებს: აზრადა აქვს დედა-მიწის გულშიაც ჩაიხედოს და, თუ რამ სასარგებლო აღმოჩნდება იქ, ზევით ამოიტანოს.

მოგეხსენებათ, დედამიწას მაგარი და ცივი მარტო გარეთა კანი აქვს, გული კი დედამიწისა იმდენად ცხელია, რომ იმის სიცხოველეს ვერც ერთი ნივთიერება ვერ გაუძლებს: რამდენისამე წუთის განმავლობაში წყლათა და ორთქლად აქცევს. ამერიკელ ინჟენერებს ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს სწორედ ეს სიცხოველე დედამიწის გულისა. ამოდენა ძალა (სიცხოველე) უსარგებლოდ ჰმარხია, ჩვენ-კი აქ აუარებელ ფულსა ვხარჯავთ ასეთისავე ძალის გასაჩენადაო,—სთქვეს ინჟენერებმა და გადასწყვიტეს კიდეც, ეს სიმდიდრე უეჭველად ზევით ამოვიტანოთო. ინჟენერების აზრით საჭიროა მარტო ერთის კარგა მოზრდილის ჭის გათხრა დედამიწის გულამდე. ამ ჭიდგან ამოსულის წყლის, რასაკვირველია, ძალზედ ცხელის, ადუღებულის წყლის ტემპერატურა, მაგის გამოანგარიშებით, საკმაო იქმნება მთელის სახელმწიფოს გასათბობად და ყველა ქარხნის მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად.

ამერიკელ ინჟენერებს მართლა რომ კარგი საქმე განუზრახავთ: ოღონდ-კი ერთი ჭა გაითხაროს და იქიდგან ამოსული ცხელი წყალი რომ დაუფასებელ სარგებლობას მოიტანს, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა. მაგრამ... მაგარიც სწორედ ამ ჭის გათხრაა. თავისს თავად ღრმა და განიერის ჭის გათხრა აწინდელ ტეხნიკისათვის სრულიადაც არ არის ძნელი. მხოლოდ დრო და ხანია საჭირო, თორემ გათხრით რა სიღრმე საჭაცაა გნებავთ, გათხრიან. დამაბრკოლებელია ამ შემთხვევაში თვით იგივე სიცხოველე, რომლის გამოყენებაც ამერიკელებმა მოისურვეს. საქმე ის არის, რომ ტემპერატურა დედა-მიწის კანისა ყველგან ერთნაირი არ არის, ზედა პირი ცივია, ქვედა-კი ცხელი. ეს სიცხოველე ქვევით და ქვევით უფრო ძლიერდება. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ იქ, სადაც კანი ძალზედ ცხელია, კაცი მუშაობას ვერ შესძლებს. გამოანგარიშებულია, რომ 1500 მეტრის სიღრმეზედ ტემპერატურა 40 გრადუსს უდრის (ცელსიით), ე. ი. ისეთი ტემპერატურაა, სადაც კაცს ვაივაგლახით კიდევ შეუძლიან მუშაობა, ხოლო იმაზედ უფრო ძირს, მუშაობა შეუძლებელი ხდება. ინგლისში ბევრს ქვა მაღაროში მუშაობა შეაჩერეს დიდის ტემპერატების გამო, ხოლო თუ 800—900 მეტრის სიღრმეზედ შეუძლებელი ხდება მუშაობა, 3000, 4000, 5000 მეტრზედ რაღა იქმნება!

ამისდა მიუხედავად, ამერიკელ ინჟენერებს იმედი აქვთ რომ, თუ ჩვენ არა, მომავალი თაობა მაინც შესძლებს ამ საქმის განხორციელებას და დედამიწის გულში დამარხულ სიმდიდრის გამოყენებასაო.

* * *

მეცნიერებს თუ დავუჯერებთ (ანკი რა საბუთი გვაქვს არ დაუჯეროთ!) მომავალი თაობა ამას კი არა, ბევრად ამაზედ უფრო საკვირველ და საოცარ საქმეებს შესძლებს. პროფესორის ბერტელოს აზრით, მაგალითად, ასის წლის შემდეგ ადამიანთა ცხოვრება ძირიანად და ფესვიანად შეიცვლება. ეს პროფესორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ 2000 წელს ველარსად ვერ შეჰხვდებით ვერც მოხნულ და დამუშავებულ მინდვრებს, ვერც ვენახებს, ვერც საყანეებს, სადაც საქონელს ჰკლავდნენ, და ვერც სხვა რასმეს, რაც ეხლა კაცის ცხოვრების უპირველეს საჭიროებას შეადგენს. ყველა იმას, რასაც ბუნება გვაძლევს: პურს, ქერს, სიმინდს, კარტოფილს, მწვანილს, ხორცს და მრავალ სხვას, კაცი ხელოვნურად მოამზადებს ქარხნებშიო.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ პური, ხორცი, რძე, კვერცხი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც საკვებად ვხმარობთ, ოთხის ელემენტისაგან შესდგება: ნახშირმბადისა, წყალმბადისა მჟავბადისა და აზოტისაგან. წყალი, მაგალითად, მხოლოდ ორ ელემენტს შეიცავს—მჟავბადსა და წყალბადს; ჰაერი მჟავბადსა და აზოტს; მცენარეულობა უმთავრესად—ნახშირ-ბადს. ბერტელოს აზრით, ეს ოთხივე ელემენტი მრავლისაგან-მრავალია დედამიწაზედ, ამიტომ საჭიროა აწინდელმა ქიმიამ მხოლოდ ის საიდუმლოება შეიტყოს, თუ ამ ელემენტების შეერთებისაგან როგორ წარმოსდგება ესა და თუ ის საკვები მასალა: პური, წყალი რძე, ღვინო, ხორცი და სხვა. ხოლო ამ საიდუმლოების შეტყობა ქიმიისათვის, იმავე მეცნიერის სიტყვით, არც ისე ძნელია, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ.

ქიმიამ უკვე მრავალი სასწაული მოახდინა და შეიტყო მრავალი საიდუმლოება ბუნებისა. აი მაგალითიც. როგორც ვუწყით, შაქარს შაქრის ლერწამისა და ჭარხლისაგან ამზადებენ მხოლოდ. ბერტელო ამბობს, რომ ეხლა შაქრის ქიმიურად მომზადებასაც შეუდგნენ და ეს ახალი შაქარი წინანდელზედ ორჯელ უფრო იაფი იქმნებაო. გამოუგონიათ აგრეთვე, ბერტელოსავე სიტყვით, ჩაისა და ყავის ხელოვნურად მომზადებაც, თუმცა იგი ჯერ საქარხნო წარმოებად არ გადაქცეულა. თამბაქოს უმთავრეს ელემენტს,—ამბობს შემდეგ პროფესორი,—ნიკოტინი შეადგენს. ქიმია თუმცა ჯერ ვერ ამზადებს ამ ნიკოტინს, მაგრამ მიზანს იმდენად მიუახლოვდა, რომ დღეს არა ხვალ ნიკოტინსაც გაუგებს საიდუმლოებას და თამბაქოს ფაბრიკაციას შეუდგებაო.

ლი მიეცემათ საერო განათლების სამინისტროს სკოლებს. ამის გამო რწმუნებულმა სთხოვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, შეგვატყობინეთ, რომელ სკოლებს ეჭიროებათ ხეხილი და რამდენიო.

⁂ 8 ნოემბრისათვის ტფილისის ქალაქის საბჭოში განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: გამგეობის წევრთა არჩევნები მ. ს. შესტაკოვისა და თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის მაგივრად; გამგეობის დადგენილება დაფასების ქაღალდებში სიყალბის ჩადენის შესახებ; სასწავლებელთა კომისიის წესები; გამგეობის დადგენილება ავლაბრის პროგიმნაზიის დასაარსებლად აღმოსაჩენ შემწეობის რაოდენობის შესახებ, გენერალ-ლეიტ. ბუქყიაშვილის საჩივარი გამგეობაზედ, რომელსაც საბჭოსათვის მოხსენება არ წარუდგენია მისის სახლის ყიდვის შესახებ, და სხ.

⁂ ტფილისის სამგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს უძველესი წევრი დეისტვ. სტ. სოვ. ნ. ზ. აკიმოვი თავს ანებებს თურმე ამ თანამდებობას.

⁂ ამ მოკლე ხანში პროფესორს რავაზს გამოსაკვლევად გაეგზავნება ბლეკროტით დაზიანებული მტევნები, რომლებიც განსაკუთრებულ კომისიას მოუკრეფია სოფ. დიღომში.

⁂ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ დაადგინა სთხოვოს ტფილისის გუბერნატორს განკარგულების მოხდენა იმის შესახებ, რომ სოფლის მთავრობას ეკრძალოს კვირა-უქმე დღეებში სოფლის ყრილობის გამართვა სასამართლოში საქმეთა გარჩევა და დუქნების გაღება წირვის გათავებამდე.

⁂ ამ ბოლო დროს ბორჩალოს მაზრაში რამდენიმე საჩივარი აღიძრა სომეხთამიერ სამართლ-მადიდებლო ეკლესიების მითვისების გამო; ტფილისის გუბერნიის მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ექსარხოსის წინაშე იმის შესახებ, რომ ბორჩალოს მაზრაში გაგზავნილიყო ძველ ქართულ სიწმიდეთა და წარწერა-მხატვრობის მცოდნე კაცი. მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ გაჰგზავნა ამ აზრით სოფ. რატევანში ტფილისის ანჩისხატის ტაძრის მღვდელი პოლიევქტ კარბელაშვილი, რომელიც ამ დღეებში უკვე მისულა დანიშნულს ადგილას.

⁂ ავლაბრის მე-7 ნაწილის ბოქაულმა შეიპყრო და სამხედრო ბეგარის საკრებულოს წარუდგინა 13 კაცი, რომელნიც სამხედრო ბეგარის თავიდგან ასაცდენად დამალულიყვნენ. 4 ნოემბერს ახალ ჯარის-კაცთა რიცხვს 35 აკლდა. საკრებულომ ჯერ-ჯერობით 159 კაცი წარუდგინა სამხედრო უფროსს.

⁂ „ტფ. ფ.“ აუწყებენ, რომ უწმ. სინოდში ლაპარაკია აღძრული ტფილისში სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რომელსაც საგნად ექმნება სამრევლო სკოლების მასწავლებელთ და მისიონერთა მომზადება. ინსტიტუტში იქმნება ხუთი კლასი საზოგადო განათლებისა და ორი—სპეციალი. სასწავლებელს ექმნება სამეურნეო განყოფილება.

⁂ სომხურ გაზეთ „მშაკის“ სიტყვით, სიღნაღში ამ ჟამად პური ფუთი 1 მ. 40 კ.—1 მ. 60 კაპეიკად ჰფასობს, წინად კი 70—80 კაპეიკად ჰფასობდა. შემოდგომაზედ პური თუ ასე ძვირია, ზამთარში, უთუოდ, ერთი-ორად უფრო ძვირი იქმნება.

⁂ „სავაჭრო-სამრ. გაზ.“-ის სიტყვით, ტფილისის ცხენის რკინის გზების მოგება 1898—99 წლებში უდრის 446,920 ფრანკს.

⁂ ს. ნიგოითი, (ოზურგეთის მაზრა). წრეულს ნიგოითში სიმინდის მოსავალი საშუალო იყო, ხოლო ღვინისა-კი სულ მცირე. აქამდის ჩვენი ღვინის სიმდიდრეს, ეგრედ წოდებული, „ადესა“ (იზაბელა) შეადგენდა, ეხლა-კი იმანაც გვიღალატა. თუმცა „ადესის“ ღვინო მდარეა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ „სულ არა რაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო“. ღვინით იოლად მიდიოდნენ და ჭაჭისაგან ზამთარში არაყს ხდიდნენ და ფოთში მიჰქონდათ გასასყიდად. ახლა, რადგან ოდესამ გვიღალატა, მისი მდარე ღვინოც მოგვაკლდა და არაყიც. ჩხავერამ, (ვაზია), ვისაც დაურჩა, კარგად მოისხა. საქმე ის არის, რომ ნოეს დროინდელი გაშენებული ვაზები რადგან აღარ ისხამდა, ბევრმა სულ ასჭრა; წრეულს-კი ისე ლამაზად გამოისხა და დამწიფდა, რომ ყველას სინანულად გაუხდა—რატომ ავჭერითო. ჩხავერის ღვინო საუკეთესოდ ითვლება მთელს გურიაში; საწყავი (ორი ფუთი) 5 მან. ჰფასობს წრეულს.

ამ ჟამად ნიგოითლებს ერთი დიდი საქმე აქვთ: მამასახლისის არჩევის დრო დადგა და სოფელი ფაცა-ფუცშია. კარგი იქნება, ნიგოითი, წინანდელის მაგალითით გამოცდილი, ეხლა მაინც გამოარჩევდეს მართლა სამამასახლისო კაცს, როგორც შეგნებით ისე ზნეობით მაღალს. ამასთანა მამასახლისისათვის არც ჯამაგირი უნდა დაიშუროს სოფელმა.

⁂ საგუბერნიო ადმინისტრაციამ შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ მან შესაძლებლად სცნო ასრულებულ იქმნას ქალაქის საბჭოს დადგენილება ქართველიშვილის სახლის შეკეთების შესახებ, რომელიც წყლის მილის გასკდომამ გამოიწვია და რისთვისაც ქალაქის საბჭომ 300 მან. გადასდო.

⁂ 1898 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ორთქლმავლებს გაუვლიათ 11,836,566 ვერსი, (ერთ მილიონ ვერსით მეტი წინა წელიწადთან შედარებით); მატარებლებს გაუვლიათ 8,507,728 ვერსი (ნახევარ მილიონ ვერსით მეტი წინა წელთან შედარებით). ყველა კლასების მგზავრი ყოფილა 3,072,015 (ნახევარ მილიონ კაცით მეტი წინა წელთან შედარებით). შემოსავალი მგზავრთაგან უდრის 2.098,045 მან. და 53 კ. (1897 წ. უდრიდა 1.838,883 მან. და 69 კაპ.). გადაუზიდნიათ 208,956,049 ფუთი საქონელი, საიდგანაც შემოსულა 16,103,336 მან. და 36 კ. სხვა-და-სხვა გვარი შემოსავალი ყოფილა 131,250 მან. და 67 კ. ამ რიგად მთელი შემოსავალი რკინის გზისა უდრის 20.300,409 მან. და 2 კაპ. (2 მილიონ მანეთით ნაკლები წინა წელთან შედარებით). გზის საზოგადო შემოსავალი უდრის 9.381,037 მ. და 42 კ. (1897 წელს უდრიდა 8,644,007 მან. და 50 კ.) წმინდა მოგება დარჩენილა 10,919,371 მანეთი და 60 კაპეკი. (1897 წელს—13.501,953 მან. და 19 კ.) თუ აქედგან გამოვაკლებთ 1,133,226 მან. და 21 კ. არა ჩვეულებრივ ხარჯს, წმინდა მოგება დარჩება 9,786,145 მან. 39 კ. (1897 წ.—12,452,273 მ. და 41 კ.)

⁂ პოლიციამ პასუხის გებაში მისცა კარტოფილის ჩარჩობისათვის გეურქ მიკირტუმოვი და არტემ ავაკიმოვი.

⁂ ამას წინად დუშეთის მაზრაში, გზაზედ, სოფ. შანქევარის მახლობლად ადგილობრივს მცხოვრებს თედო ბოლოლაშვილს ხანჯლით მოუკლავს სოფ. ნადირ-ხვანთქარის მცხოვრები იოსებ წიკლაური. მკვლელი სასამართლოსთვის გარდაუციათ.

# თეატრის მატიანე

ბედნიერი დღე, კომ. 3 მოქ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

ხანუმა, მეორე მოქმედება.

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა გასცოცხლა ძველი პიესა ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა, ჩვენს სცენაზედ არა ერთ-გზის წარმოდგენილი. კომედიამ ბევრი აცინა საზოგადოება, თუმცა იგი უფრო მადლობელი იქნებოდა, ბ-ნს გედევანოვს, ფორტ-მეისტერის როლის ამსრულებელს რო სცოდნოდა, რომ „კარტას“ ქართულად რუკა ჰქვიან და არა რუქა, რომელიც სახელია ადამიანის; იმავე გედევანოვს რომ პიესის დასაწყისში თავისი სათქმელი სიტყვები არ გადაესხვაფერებინა და ოსმალთა და ავღანის ნაცვლად რამდენჯერმე ბურები და ტრანსვაალი არ ეხსენებინა, მით უმეტეს, რომ ამათი არტისტმა დახასიათებულის პიესის განახლება და გაამდროება ვერ შეიძლო. ყველა კარგად ჰხედავდა, რომ პიესის გმირნი რუსეთში მესამოცე წლების ცვლილებათა შემოღების დროისანი იყვნენ, ამას ამტკიცებდა მთელის პიესის შინაარსიც, მოქმედთა ტანისამოსიც და ქ-ნ გაბუნიას თმის ვარცხნილობაც-კი.

უფრო მადლობელი იქნებოდა საზოგადოება, რომ ბ-ნს კასიან აბაშიძეს ზომიერება არ დაერღვია გადამეტებულის მიხვრა-მოხვრით და უადგოდ და ალაგაინად სცენაზედ რეჟისორობა არ დაეწყო. რეჟისორობა და არტისტების წვრთნა რეპეტიციების დროს უნდა და არა წარმოდგენის დროს.

კმაყოფილი იქნებოდა აგრეთვე საზოგადოება, რომ ქ-ნს გაბუნიას გარდამეტებულის პრანჭვა-გრეხვით, კრუსუნით, ხელების გასავსავებითა და თვალების ბრიალით არ გაესასაცილოებინა თავისი როლი.

ამ საღამოს სანუკვარს შეადგენდა ისევ ქ-ნი ანსტ. აბაშიძე, რომელიც მკვირცხლ და კისკას ნასტიას როლს თამაშობდა, იმ როლს, რომელსაც ქართულს სცენაზედ ყოველთვის მისი დედა, პატივცემული მ. მ. საფაროვისა ასრულებდა ხოლმე. ახალგაზდა არტისტმა ქალმა ამ მეორედ გამოსვლითაც დაგვიმტკიცა, რომ იგი ჭეშმარიტად ნიჭიერია და დიდად საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზედ, როდესაც სასცენო საქმეში გამოიცდება და დახელოვნდება. ეხლავე-კი ვურჩევთ ამ ყმაწვილს ქალს დაიხსომოს, რომ პირველი ღირსება არტისტისა ზომას გადაუცილებლობა და გადაუჭარბებლობაა და ამ მხრივ არ წაჰბაძოს სხვა თავისს

---

მკითხველებს მოეხსენებათ უთუოდ, რომ მდოგვს, ლიმონისა და სხვა სიმჟავეს უკვე ქიმიურად ამზადებენ და არა მცენარეულობისაგან, როგორც წინად იყო. ბერტელო გვარწმუნებს, რომ მალე ქიმია ხელოვნურ რძის მომზადებასაც შესძლებს, ამასთან, სურვილისამებრ, ამ ხელოვნურ რძეს ძროხის, თხის, ცხვრის რძის გემოს მისცემსო.

კარგი დაგემართოთ, კარგ ცხოვრებაში ჩვენი შვილის-შვილები იქმნებიან, თუ ყველა ის გამართლდა, რასაც ეს გულ-უხვი პროფესორი გვპირდება. მაშინ სამოთხის ძებნას ზეცაში აღარ დაუწყებენ, აქვე დედამიწაზედ უხვად ექმნებათ ყველა ის, რისთვისაც დღეს კაცი ცალკე თავისს მოძმეს და ცალკე ბუნებას ებრძვის. შიმშილობამ ხომ უნდა გუდა-ნაბადი აიკიდოს და საბრძანებლად და სათარეშოდ სხვა უფრო ადვილად დასაბრიყვებელი ადგილი მონახოს.

* * *

ასე იქმნება, ბერტელოს სიტყვით, ასის წლის შემდეგ. ხოლო ასი წელიწადი არც ისე მცირე ხანია, რომ კაცმა შიმშილს გაუძლოს და მომავალის სიმდიდრის იმედით ისულდგმულოს. მაშასადამე, ამ ხნის განმავლობაში კაცობრიობას კიდევ ჰმართებს ძველებურად ჰაპანის-წყვეტა და ბუნებასთან ბრძოლა. ერთს ასეთს ბრძოლის სურათს წარმოადგენს, სხვათა შორის, ევროპიელთა მეცადინეობა, რომ უვნებელი ჰყონ დედამიწის მოსავალი—სეტყვისაგან. ამის შესახებ „ივერია“-ში წინადაც იყო გაკვრით ლაპარაკი.

ეს საგანი კარგა ხანია აინტერესებს ბუნების-მეტყველთ და მეცნიერთ, მაგრამ პრაქტიკულად იმის გამოცდას მხოლოდ ამ ბოლოს დროს შეუდგნენ. ჯერ ისევ მე-70 წლებში ვინმე კარლ მაუ, ხელობით აფთექის პატრონი, ამტკიცებდა, რომ ჰაერის ძლიერად შერყევა წვიმას გააჩენსო. მაუ თავისს აზრს ამ რიგად ასაბუთებდა. ჰაერში მრავლად არის ორთქლის პატარ-პატარა ბუშტები. თუ ოდნავ მაინც შეირყა ჰაერი, ეს ბუშტები დასქდება, ორთქლი წვეთებად იქცევა და ძირს დედამიწისაკენ წამოვა. ამ რიგად, წვიმის გასაჩენად საჭიროა ისეთი რამ ძალა, რომელსაც დიდს მანძილზედ შეეძლოს ჰაერის შერყევა. ასეთ ძალად მაუმ ზარბაზნის შემწეობით გასროლილი ყუმბარა სცნო.

მაუს აზრს იმ დროს ყურადღება არ მიაქციეს. ბევრმა სასაცილოდაც-კი აიგდო მაუ. მაგრამ ამ ექვსის—შვიდის წლის წინად ამ საგანს ხელახლა დაუბრუნდნენ და ცდას შეუდგნენ, რამაც მოულოდნელი ნაყოფი მოიტანა. აღმოჩნდა, რომ ყუმბარების შემწეობით წვიმის გაჩენა-კი არა და სეტყვის მოსპობა, თავიდგან აცილება კი შეიძლება.

პირველად ამ საქმეს ხელი მოჰკიდა სამხრეთ შტირიელმა მემამულემ ა. შტიგერმა, რომელმაც ამ ოთხის წლის წინად თავისს ვენახების მახლობლად, გორაკებზედ ექვსი სადგური გამართა. შტიგერმა დადგა ამ სადგურებში ათ-ათი ერთგვარი ზარბაზანი, განსაკუთრებულ ამისათვის მოწყობილი, და ამ ზარბაზნებიდგან ყუმბარების სროლა დაუწყო შავს, სეტყვის მომასწავებელს ღრუბლებს, როცა კი ასეთ ღრუბლებს ცაზედ შეამჩნევდა. პირველმავე ცდამ საუკეთესო ნაყოფი მოიტანა: ყოველთვის, როდესაც შავს ღრუბელს ყუმბარებს ესროდნენ, ეს ღრუბელი იფანტებოდა და სეტყვის ნაცვლად დიდი წვიმა მოდიოდა. ერთის წლის განმავლობაში შტიგერმა ექვსჯერ მიჰმართა ამ საშვალებას და ექვსჯერვე ყუმბარებმა უვნებელი წამლობა გაუწია იმის ვენახებს. შტიგერის მაგალითს სხვა მემამულეებმაც მიჰბაძეს და მალე ეს ახალი საქმე შტირიასა, კორინტიასა და მონფერრატშიც გავრცელდა. მას აქეთია ამ ადგილებში სეტყვა აღარავის უნახავს, თუმცა მახლობელს ადგილებში, სადაც ამ ზომას არ მისდევდნენ, სეტყვა უწინდელებრ ხშირი სტუმარი იყო.

დღეს ამ გვარი სადგურები ავსტრიის გარდა იტალიაშიაც გამართეს. თითო ზარბაზანი 50—60 მანეთამდე ღირს, მაგრამ ამბობენ, უფრო იაფად ეღირება, თუ ბრინჯაოს ნაცვლად ზარბაზანს რკინისაგან მოამზადებენო. ეხლა სადგურებს ცალკე მემამულეების ნაცვლად მთელი სოფლები ჰმართავენ. თვითეეულს სოფელს თავისს მამულებში რამდენიმე საკუთარი სადგური აქვს, და ყოველთვის, როდესაც შავს, საეჭვო ღრუბელს დაინახვენ, ამ სადგურიდგან ერთ ჯახაჯუხს ასტეხენ ხოლმე.

⁂

როგორც ჰხედავთ, ჭკვიანმა კაცებმა საკეთილოდ და სასარგებლოდ გამოიყენეს ის იარაღი, რომელიც მხოლოდ ხალხის ამოსაჟლეტად და ამოსაწყვეტად იყო გამოგონილი. ტყუილად-კი არ არის ნათქვამის ერთი ჭირი მარგებელიაო. მართალია, ზარბაზნისაგან ერთი კი არა, ათასი და ათი-ათასი ჭირი უნახავს კაცობრიობას, მაგრამ ისიც კარგია, რომ ბოლოს ასეთი საკეთილო მოჰყვა.

რაღა ეს! ზემოხსენებული ანდაზა ბევრ სხვა საქმეშიაც გამართლდა. საკმაოა გავიხსენოთ, ევროპის სახელმწიფოებმა რამდენი რკინის გზა გაიყვანეს სტრატეგიულის აზრით, ე. ი. მარტო იმ აზრით, რომ ომის დროს ჯარის, სურსათის და სხვა რამეების გადაზიდვა ადვილად და საჩქაროდ შეეძლოთ. აი ეხლაც საფრანგეთში ლაპარაკია აღძრული ამ აზრითვე ისეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომელიც, ვინ იცის, ეღირსებოდა როდისმე განხორციელებას თუ არა. ვის არ გაუგონია სახარას უდაბნო, ეს უზარმაზარი უსიცოცხლო, უწყლო ადგილი, რომელიც სივრცით ევროპას აღარც კი ჩამოუვარდება. მთელი ეს ადგილი ერთ ქვიშის ოკეანეს წარმოადგენს. პაწაწკინა ოაზისებს გარდა მთელი სახარა უზარმაზარ ქვიშის გორებისა და თვალგადაუწვდენელ ქვიშისავე მინდვრების მეტს არაფერს შეიცავს. და აი საფრანგეთმა ასეთ ადგილას მოიწადინა რკინის გზის გაყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისს კრიჭაში ამოუდგეს საშუალო აფრიკაში და ფაშოდის გამო მიყენებულ სირცხვილის სამაგიერო გარდაუხადოს.

მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ, რომ საფრანგეთს საშუალო აფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამომძმეებს. ნიჭიერს ახალგაზრდა მსახიობს საზოგადოებამ საჩუქარი მიართვა.

ახლად გამოსული არტისტი ჯაჯანოვი, რომელიც მაზრის მკურნალის ნივანის როლს ასრულებდა, სრულიად გამოუცდელი აღმოჩნდა. კარგია იცოდეს, რომ საზოგადოებას ზურგი არასოდეს არ უნდა შეაქციოს, იჯდება თუ იდგება სცენაზედ.

რაც შეეხება ხანუმას მეორე მოქმედებას, იგი ისეც მოიფარსებს, ხოლო პიესაში-კი რაც უფრო სასაცილო ადგილებია, მით უმეტეს სიფრთხილით უნდა იქმნას წარმოდგენილი, რომ არ გადამლაშდეს და ბერიკაობად არ გარდაიქმნეს. ბ-ნ აბაშიძის აკოფამ-კი იგი სრულიად დაამტუტა, თორემ გადამლაშებას ვიღა სჩივის. რაც შეეხება ახალგაზდა არტისტ ქალს ქ-ნს კავთელს, სონას როლის აღმასრულებელს, ამ ქალმა თავისის როლისა არც ერთი სიტყვა არ იცოდა და ყოველ კრინტის დამკრაზედ ენა ებმოდა. ჩვენის აზრით, ყოვლად შეუწყნარებელია ახალგაზდა მსახიობისათვის ასე უცოდინარად და მოუმზადებლად სცენაზედ გამოსვლა.

დანარჩენს არტისტებს როგორც პირველს, ისე მეორე პიესაში არა უშავდათ-რა.

ვურჩევთ ჩვენს დასს, რომ პიესები უფრო არჩევით წარმოადგინოს და სარეჟისორო ნაწილსაც მეტი ყურადღება მიაქციოს. კარგი იქნება, რომ წარმოდგენის დროს სცენის ფანჯრებიდგანა და კარებებიდგან ვიღაცანი არ იჭყიტებოდნენ.

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

მ—ძე

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. მოხისი**, (გორის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს გორის სამხრეთიდგან ოთხის ვერსტის მანძილზედ; უჭირავს ფერდო და მომაღლო ადგილი. აქ იცის მუდმივი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქარი, რაც ძლიერ აფიცხებს მიწას. აქაური ადგილები საზოგადოდ მოსავლიანია, მაგრამ წელს კი ნაკლები იყო პურის მოსავალი. ბაღები და ვენახები აქ არ არსებობს, რაც მიეწერება ხმელ ჰავას და ურწყავს ადგილებს. აქაურის ხალხის სარჩოს შეადგენს ხვნა-თესვა; სხვა საქმე ამათ არ ეხერხებათ. ამ სამი-ოთხის წლის წინად ეს სოფელი თითქმის უკანასკნელ სოფლად ითვლებოდა სწავლა-განათლების მხრივ. მაგრამ როგორც გარემოებამ აღმოაჩინა, ხალხი დაუდევარი კი არ ყოფილა, არამედ არა ჰყოლია მას წინამძღოლი, რომ გზა ჭეშმარიტებისა ეჩვენებინა. 1895 წ. აქ გამოამწესეს ახალგაზდა მღვდელი მ. ბენ. კონტრიძე. მოსვლისთანავე ის შეუდგა სკოლის დაარსებისათვის ზრუნვას. თუმცა-ღა სოფელში აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მღვდელს სკოლის დაარსების საქმეში: „მამაო, ნუ გვღუპავ, ნუ გაგვიმართავ სკოლას! მღვდლად ხარ განწესებული და მღვდლობა გასწიე; დანარჩენზე თავი დაგვანებეო“,— მაგრამ როდესაც გაიგეს სწავლის გემო, იმ წინააღმდეგების შვილებიც ბევრი სწავლობენ ეხლა მოხისის სამრევლო სკოლაში, და ადგილიც აღარ არის ახლად მოყვანილ ბავშვებისათვის. ეკკლესიის გალავანში მოთავსებულია სკოლის შენობა, რომელშიაც სწავლობს 70 მდის მოსწავლე ორთავე სქესისა. კვირა უქმე დღეობით ეკკლესიაში ჰგალობს მოსწავლეებისაგან შემდგარი გუნდი. მამა ბენიამინისავე მეცადინეობით ეკკლესიასა და სკოლას ქვითკირის გალავანი შემოავლო სოფელმა, გაამშვენიერა შიგნითა და გარეთ ეკკლესია და სხ. მამა ბენიამინს არ დაუტოვებია აგრეთვე უყურადღებოდ სხვა მეზობელი სოფლებიც; იქ ბევრგან დააარსა წერა-კითხვის სკოლები და აღმოუჩინა მათ შესანახი წყარო. ერთის სიტყვით, ის ამ სამი წლის განმავლობაში ასრულებდა ჭეშმარიტი მოძღვრის მოვალეობას და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა ხალხისა. კიდევ ბევრ კარგის გაკეთებას მოველოდით მისგან,— მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის გადაყვანილ იქმნა ტფილისში. ვისურვებთ, რომ სხვა სოფლებშიაც გამოსულიყოს თითო-ოროლა იმის მსგავსი მღვდლები და ისეთი სახელი დაემსახურებინოთ, როგორიც დასტოვა პატივცემულმა მამა ბენიამინემ მოხისსა და მის მახლობელს ხეობებში.

მოხისელი

## უცხოეთი

**ინგლის ტრანსვაალის ომი.** გაზეთებში შემდეგი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი. ტრანსვაალის წარმომადგენელს ევროპაში დოქტორს ლეიდს, სანამ ომი დაიწყებოდა, თათბირი ჰქონია გერმანიისა, ბელგიისა და ჰოლანდიის გამოჩენილ მხედრებთან იმის შესახებ, თუ ბურებისთვის როგორი სამხედრო გეგმა იქმნება საჭირო, თუ, ვინიცობაა, ინგლისსა და ტრანსვაალს შორის ომი აუცილებელი შეიქმნა. მოუწონებიათ მთელს ევროპაში კარგად ცნობილის ერთის გენერლის გეგმა. როგორც ჰფიქრობენ, ეს გენერალი უნდა იყვეს ბრიალმონი, რომლის ცოდნით და დარიგებით ერთს დროს ოსმალეთის მთავრობამაც ისარგებლა. ეს გეგმა ორს ნაწილად იყოფა: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ ბურები გალაშქრებულიყვნენ ნატალზედ, ინგლისელები თან-და თან ზღვისკენ გაედევნათ და დურბანის ჩრდილოეთ მხარეს დაეჭირათ რკინის გზები ზულულენდის მხრით ანუ გრეიტაუნისა და უმკომტიდგან. გეგმის მეორე ნაწილი სრულებით დამოუკიდებელი არის პირველისაგან და ბრძოლის ველის დასავლეთის მხრის დაცვას ეხება: ხიდებისა და რკინის გზის დაქცევა, რომელიც ბლემფონტეინისაგან (სატახტო ქალაქი ორანჟეში) მიდის, იმდენათ შეაფერხებს ინგლისელების მოძრაობას მიდდელ-ბურგ-დორრეხტეს სიმაგრეებიდგან, რომ ისინი იძულებულ იქმნებიან, საქმის დასაჩქარებლად, სამოქმედო ასპარეზი გადაიტანონ კიმბერლეისა და მეფეკინგში. ბურებმა პირველად ხელი არ უნდა შეუშალონ ამ მოძრაობას, არამედ უნდა ეცადნონ მათის საჭირო გზების დაქცევასო. ამასთანავე გეგმის შემდგენელის აზრით, ბურების მხედრობა ასე უნდა ყოფილიყო განაწილებული: 22,000 კაცი ნატალში უნდა გაეგზავნათ, 6000 დასავლეთ საზღვრებზედ, 3000—ჩრდილოეთ საზღვრებზედ და 10,000 კაცი პრეტორიაში უნდა შეენახათ ყოველ შემთხვევისათვის; სულ 47,000 კაცი, რომელთა შორის 27,000 უნდა ყოფილიყო ტრანსვაალიდგან და 20,000 ორანჟეს რესპუბლიკიდგან. ბურების ჯარი ეხლა ამ რიცხვზედ მეტია. დოქტორი ლეიდსი ვითომც დაერწმუნებინოთ უფლების მქონე კაცებს, სხვა სახელმწიფონი ჩაერევიან საქმეში, თუ ბურებმა 12 თვეს მაინც გაუძლეს ომსო, რაიცა შეუძლებლად არ მიაჩნია მოხსენებულ გეგმის შემდგენს.

ამ გეგმის წინააღმდეგ ერთად ერთ საშუალებად ის მიაჩნია „Standard“-ის კორესპონდენტს, რომ ინგლისმა ნება იშოვნოს დელაგოაში ახალი ჯარის კორპუსი გადასხას, რათა რამდენიმე თვის განმავლობაში სულ ერთიან მიწასთან გაასწოროს ტრანსვაალის რესპუბლიკა. კორესპონდენტის აზრით, ამ გვარი ნების აღება შეიძლება მოახერხდეს გერმანიის იმპერატორის ყოფნის დროს ინგლისში. ამასთანავე შეიძლება გერმანიას დაეთმოს ვეშპის ნავთსადგური აფრიკის დასავლეთ ნაპირას.

— დოქტორს ლეიდს ლაპარაკი ჰქონია პარიჟის ერთს მწერალთან და უთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფონი უნდა ჩაერიონ სამხრეთ აფრიკის ომში და შესწყვიტონ ის, რადგან ინგლისმა გარდასწყვიტა იქ (სამხრეთ აფრიკაში) მცხოვრები შავი ხალხი აამხედროს, რაიცა ამ საუკუნის ერთ უმთავრეს სამარცხვინო საქმედ უნდა ჩაითვალოსო. შემდეგ ლეიდს განუცხადებია: ჩვენს მხედრობას, რომელიც 50,000 ბურისაგან შესდგება, ინგლისიდგან ახლად გაგზავნილი მაშველი ჯარისაც არ ეშინიანო. ჩვენ, როცა ომი დავიწყეთ, სხვისი იმედი არა გვქონია და ამის გამო თავის დროზედ საკმაოდ შევიძინეთ ყოველგვარი საომარი მასალაო.

— ლერუა-ბოლიე, საფრანგეთის ცნობილი ეკონომისტი ამბობს „Journal des Debats“-ში, რომ ეხლანდელ ომის სისწორით დაფასებისათვის საჭირო არ არის ერთმანეთს შევადაროთ დიდი ინგლისი და პატარა რესპუბლიკა (ტრანსვაალი), არამედ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ადგილებს, სადაც ომი არისო. ტრანსვაალსა და ორანჟეს უჭირავს 440,000 ოთხ-კუთხი კილომეტრი, ე. ი. ერთი მესამედით მეტი ადგილი ინგლისსა და ირლანდიაზედა. ორივე რესპუბლიკაში ბევრია დაუსახლებელი და შეუმუშავებელი ადგილი, მაგრამ ამ გარემოებას ბურებისათვის რამდენიმედ კარგი მნიშვნელობაც აქვსო. ლერუა-ბოლიეს აზრით, ინგლისელები იქ ვერავითარს სურსათს ვერ იშოვნიან და ბურებს-კი შეუძლიანთ შეიტყუილონ ისინი უდაბურს ადგილებში და მერმე გარს შემოერტყან. ინგლისელები იძულებული იქნებიან მტრისაგან დაიცვან გრძელი გზები, რათა ერთი რაზმი მეორეს არ მისწყდეს. პრეტორიიდგან დურბანამდის არის 850 კილომეტრი, 1200 კილომეტრზედ მეტი ელისავეტის ნავთსადგურამდე და 1650 კილომეტრი კაპშტადამდის. დურბანსა და პრეტორიას შორის გზა დაქცეულია ბურებისაგან, მაშასადამე ინგლისელებმა უნდა იფიქრონ იმ გზის შესახებ, რომელიც ელისავეტის ნავთსადგურიდგან მიდის, მაგრამ იგი გაუვალია უდაბურსა და ისეთს ადგილებში, სადაც ინგლისის არაკეთილის მსურველი ხალხი სცხოვრობსო. თუ ამ პირობებს ვიქონიებთ მხედველობაში და ამასთანავე იმ ქვეყნების განსაკუთრებულს ჰავასა და ბურების სიმამაცეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ომი დიდ ხანს გასტანს და მეტისთაც დაუჯდება იგი ინგლისსო. ლერუა-ბოლიე ასე ჰფიქრობს, რომ ომი შეიძლება გათავდეს ბურების ამოწყვეტით, მაგრამ ინგლისს, რომელსაც მთელს დედამიწის ზურგზედ ამდენი საქმე აქვს, განა შეუძლიან ასე დიდ ხანს გააგრძელოს ომი და მთელი თავისი ძალ-ღონე იმას მოანდომოს? ინგლისისათვის უთუოდ საჭიროა ომი გაათავოს აღდგომისთვის ანუ მომავალ წლის ივლის-აგვისტოს არა უგვიანესო. ლერუა-ბოლიე ჰფიქრობს, რომ ინგლისისათვის უმჯობესი იქმნება სამშვიდობო ხელშეკრულობა დასდვას ბურებთან და ორივე რესპუბლიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ აღიაროს; ხოლო იოჰანესბურგის ოლქი (თავისი ოქროს მადნებით) ტრანსვაალისაგან განცალკევებულ იქმნას და ცალკე რესპუბლიკა დაარსდეს იქ, რომელმაც ცოტაოდენი ხარკი აძლიოს ტრანსვაალსაო.

## ბიბლიოგრაფია

„Грузинскія Обители внѣ грузіи“—(ქართველთა მონასტერი საქართველოს გარეშე)—მ. ჯანაშვილისა.

ეს წიგნი დაუღალავ და პატივცემულ მკვლევარს ჩვენის წარსულისას შეუდგენია და გამოუცია რუსულს ენაზედ რუსეთის მთავრობისა და საზოგადოების საყურადღებოდ, მაგრამ იგი თუ არ უმეტესად, არა ნაკლებ საყურადღებოა ქართველთათვისაც.

„ქართველებს დიდი და დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვით საზოგადოდ ქრისტიანობის და კერძოდ იერუსალიმის ეკკლესიის წინაშეო“, ამბობს ავტორი და მართალიც არის. მრავალის საუკუნოების განმავლობაში ქართველები იღვწოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ არა მარტო თავიანთ სამშობლოსა და თავისუფლების დასაცველად, არამედ ქრისტიანობის გასაძლიერებლად როგორც თვით საქართველოში, აგრეთვე საქართველოს გარეშეც: იერუსალიმსა, ათონსა, სინაზედ, კიპროსზედ და სხვაგან. ამ ადგილებში ბევრი ძველი ნაშთია დღეს იმის მოწამე, რომ სხვებთან ერთად ქართველებიც შრომობდნენ და იღვწოდნენ ქრისტიანობისათვის: აგებდნენ მონასტრებს, ადგენდნენ და სთარგმნიდნენ სასულიერო შინაარსის წიგნებს, ჰმართავდნენ სასწავლებლებს, საავადმყოფოებს და სხვა, თუმცა ორჯელ ამაზედ მეტი ნაშთი, ქართველთა მიერ შექმნილი, ისტორიულმა ქარიშხალმა და ბარბაროსთა ულმობელმა ხელმა განადგურებას მისცა.

როგორც ზემოხსენებულ წიგნიდგანა სჩანს, ქართველებს წმ. ადგილებში სიარული და იქ მონასტრების აგება დაუწყიათ ჯერ ისევ მეფე მირიანის დროსვე, რომელსაც დაუარსებია იერუსალიმში წმ. ჯვრის მონასტერი. მირიანის შვილს ბაკურს კიდევ დიდი შემწეობა აღმოუჩენია იმპერატორის თეოდოსიისთვის მტარვალის მაქსიმეს წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ბევრი უშრომია წმ. ჯვრის მონასტრისათვის მეფე ვახტანგ გორგასლანს, ხოლო მეფე III-ს განუახლებია იგი. წმ. ჯვრის მონასტერს სხვა მონასტრებიც მოჰყვა. სულ ქართველებმა შემდეგი მონასტრები დააარსეს წმ. ადგილებში:

1, წმ. ჯვრის მონასტერი; 2, წმ. ჯვრის მონასტერი, დაარსებული გიორგი I-ის მიერ; 3, წმ. ნიკოლოოზის მონასტერი, დაარს. დედოფლის ელენეს მიერ; 4, პატრ. აბრაამის სახელობის მონასასტერი, განახლებული გიორგი აბაშიძის მიერ მეXVII საუკ.; 5, მოციქულის იოანნეს სახ. მონასტ., აგებული სამცხე საათაბაგოს გამგეთაგან; 6, წმ. ვასილის მონასტერი, აგებ. ამირინდო ამილახვრის და ტკას მიერ; 7, მეორე მონასტერი წმ. ნიკოლოოზისა, აგებ. პატა და ქაიხოსრო წულუკიძის მიერ; 8, წმ. თეოდორეს მონ., აგებ. ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილის მეცადინეობით; 9 წმ.

---

რიკაში დიდი ადგილები აქვს. ეს ადგილები ყველაფრით მდიდარია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მისადგომი და მისასვლელი არა აქვს, რის გამო საფრანგეთს იქ მტკიცედ ვერ მოუკიდნია ფეხი. ერთად ერთი ხეირიანი მისადგომი ნილოსის ხეობიდგანა აქვს და ეს ხეობაც ინგლისს უჭირავს. ამ რიგად საფრანგეთს გზად სახარა-ღა რჩება, რომელიც გველსაპივით გაწოლილია საშუალო აფრიკის ადგილებსა და საფრანგეთისავე ახალშენებს—ალჟირსა და ტუნისს შუა.

მთელი სიგძე სახარას რკინის გზისა, თუ იგი საფრანგეთმა მართლაც გაიყვანა, 2,800 კილომეტრი იქმნება. ამ მხრივ სახარის გზა ბევრად ჩამორჩება ციმბირისას (6000 კილომეტრი), და ამერიკის ორ რკინის გზას (თითო—5000 კილომეტრი). უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზს რკინის გზის გაყვანის დროს უწყლოობა შეადგენს, მაგრამ, როგორც უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, შეიძლება ეს მიზეზიც აცილებულ იქმნას თავიდგან. ცნობილი ეკონომისტი ლერუა ბოლიე ამბობს, მაგალითად, რომ თუ ღრმა ჭები გაითხარა, სახარაში ყველგან აღმოჩნდება წყალიო. ამ ეკონომისტის პროექტით, თან ჭები უნდა გაითხაროს და თან ლიანდაგი გაიდოს; მხოლოდ ამ გვარად შეიძლება რკინის გზის გაყვანა ასეთ უწყლო და უდაბნო ადგილში, როგორიც არის სახარა. დაჯდება სულ ეს გზა, როგორც გამოანგარიშებულია, 300 მილიონ ფრანკამდე.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ახალ გზას დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ექმნება. ეს გზა შეაერთებს საშუალო აფრიკას იმ ადგილებს, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის, სახელდობრ სენეგალ-სუდანსა და კონგო-უბანგი-ჩადს, ალჟირსა და ტუნის, სადაც საფრანგეთს 100,000 ჯარის კაცი ჰყავს. საფრანგეთს შეეძლება მაშინ ხუთის დღის განმავლობაში ჯარს საშუალო აფრიკაში ამოაყოფინოს თავი და მაშინ ინგლისი ფაშოდისებურ საქმეს ვეღარ დაჰმართებს.

მაგრამ ამ გზას ერთი ორად უფრო მეტი ეკონომიური მნიშვნელობა ექმნება. იგი საფრანგეთის ადგილებს გარდა მოჰხვდება ინგლისის, გერმანიის და პორტუგალიის უზარმაზარ ახალშენებსაც, სიადგანაც მრავალი დაუმუშავებელი საქონელი იქმნება გამოტანილი.

ი. ა—ძე

თეკლეს მონ., აგებ. ქრისტეფორე ზედგინიძის მიერ; 10 წმ. გიორგის მონასტერი—თავ. დადიანის მიერ; 11 დედათა მონ.—რაჭის ერისთავის მიერ; 12, წმ. დიმიტრის მონ.—ქსნის ერისთავის შალვას მიერ; 13, დედათა მონასტერი წმ. ეკატერინესი—ამილახვარ ციციშვილის და თავ. მაჩაბლის მიერ; 14, ამაღლების ტაძარი გოლგოთაზედ; 15, წმ. სამუელის მონასტერი; 16, წმ. საბბას მონ. ამას გარდა ქართველებს ჰქონდათ მონასტრები კიპროსსა, ტრაპიზონდსა, სირიაში და სხვაგან.

ქართველებს რომ დიდი გავლენა ჰქონდათ წმ. ადგილებში, ამას უცხო ქვეყნის მწერალთა მოწმობიდგანაც. აი, სხვათა შორის, სანუტი რას იუწყება: „ქართველები მეომარი და ბრძოლაში დიდად მამაცი ხალხია. აქვთ გამაგრებული ციხეები და ჰყავთ ძლიერი ჯარი. ისინი საშიშნი არიან, დიდი ვნება მიაყენეს მათ სარაცინებს, სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს... მარტო ქართველებსა აქვთ ნება უგადასახადოდ, გაფრიალებულის დროშებით იერუსალიმში შესვლისა. სარაცინები ხმას ვერ გასცემენ მათ".

1520 წელს სულთანმა სოლომანმა დარაჯები დაუყენა მაცხოვრის კუბოს ეკკლესიას და უბრძანა, რომ ამ დარაჯებმა ყველამ ლოცველს გადასახადი გამოართვან. ლათინებსართმევდნენ 14 გროშს, ბერძნებს 7 გროშს, არაბებს და ეგვიპტელებს—3-ს, მხოლოდ ქართველებსა და აბაშელებს არაფერი არ ერთმეოდათ.

მონასტრების წინამძღვრებად ყოველთვის ქართველები ინიშნებოდნენ ხოლმე. ქართველ მოღვაწეთა და წინამძღვართა შორის პალესტინასა და ათონში უფრო შესანიშნავნი იყვნენ: ნიკოლოოზ ჩოლოყაშვილი, იოანნე ივერი, ნათესავი ამ ივერისა თორნიკე, მ. გიორგი მთაწმინდელი და სხვანი. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მოწმობით ნიკოლოოზ ჩოლოყაშვილი, წმ ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, მეტად ჭკვიანი, მოხერხებული და განათლებული კაცი ყოფილა, უმოგზაურნია ესპანიასა, რომსა, საფრანგეთსა, ესპანიასა და სხვა სახელმწიფოებსა და ქვეყნებში. იერუსალიმის პატრიარქმა თვითონვე თავისს მოადგილედაც-კი დანიშნა, მაგრამ ბერძნები წინ აღუდგნენ და თავიანთი კაცი აარჩიეს პატრიარქად. დიდი ღვაწლი გასწია ათონზედ აგრეთვე იოანნე ივერმა და თორნიკემ. ამ იოანნემ დააარსა შესანიშნავი ივერის მონასტერი.

აი ასე ჰშრომობდნენ და ჰმოღვაწეობდნენ ქართველნი უწინ წმიდა ადგილებში, მაგრამ დღეს ყოველივე მათი ნაღვაწი და ნაშრომი სხვის, სახელდობრ, ბერძნების ხელშია. ბერძნები იმ თავითვე მტრულის თვალით უყურებდნენ ქართველების მონასტრებს, სცდილობდნენ ამ მონასტრების ხელში ჩაგდებას და ამ საუკუნეში თავიანთი სურვილი კიდეც მოიყვანეს სისრულეში: განდევნეს ყველა ქართველი ბერები და შესანიშნავი ივერის მონასტერი ათონზედ თვით მიისაკუთრეს. 1846 წელს მათ წაშალეს ყოველივე ქართული წარწერა ამ მონასტერში და იმის მაგიერ ბერძნული წარწერა დაჰკრეს. ესეც არ აკმარეს ქართველებს. 1866 წ. ქართველმა ბერმა ბენედიქტემ (ბარკალაიამ) ახალი მონასტერი ააგო და ათონზედ მყოფ ქართველ ბერებს იქ მოუყარა თავი. ბერძნებს ამ მონასტრის ხელში ჩაგდებაც მოუსურვებიათ და ამ აზრით მოსვენებას არ აძლევენ თურმე ქართველებს. ამის შესახებ ივერიაში ათონიდგან მოწერილი ორი წერილიც იყო დაბეჭდილი ამას წინად. მხედველობაში იქონიეთ, რომ ბერძნების მიერ დაჩემებულ მონასტრებს უმთავრესი შემოსავალი საქართველოდგანა აქვთ. ყოველ წელიწადს ივერის მონასტერს საქართველოდგან და რუსეთიდგან მისდის 200,000 მანეთამდე, ხოლო აღმოსავლეთ ყველა მონასტრებს რუსეთსა და საქართველოში 147 სოფელი და 264,320 დესეტინა ეკუთვნით, საიდგანაც 560,000 მანეთი შემოსავალი აქვთ.

ზემოხსენებულ წიგნის ავტორის ბ-ნ ჯანაშვილის აზრით, ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ და ეცადოს, რომ ქართველთა ძველი მონასტრები ისევ ქართველებსავე დაუბრუნდეს.

უცნობი

---

## დამაგვირგვინებელი

სიყვარული უფულოდ იგივეა, რაც ღამაზი, გაპრიალებული ჩექმები უძირობოდ.

ინგლისური ანდაზა

* * *

კაცი ვერც ერთ სათნოებას ვერ ასრულებს, თუ მისი ქცევა უსარგებლოა მომმეთათვის.

ლასურიძე

* * *

დედაკაცის თვალები შესრაკებით არის მომართული: როცა უნდა მოუშვებს და ცრემლს დაღვრის.

ბ. დ—შვილი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ბერლინში ქალებმა ეს არის ეხლა ერთი ახალი კლუბი კიდევ დაიარსეს. ეს იმ ქალებმა დააარსეს, რომელნიც თავიანთის შრომით სცხოვრობენ. სადგომი კლუბისა მეტად მშვენიერი რამ არის თურმე. მრავალის დარბაზის გარდა, ამ კლუბს საკუთარი სასადილოცა აქვს. იქვეა გამართული წიგნთ-საცავიც. კლუბის შინაურს საქმეებს ქალები მორიგებით განაგებენ. ჯერ-ჯერობით კლუბს 400 წევრი ჰყავს. ამათ შორის მრავალია მხატვარი, რომანისტი, ჟურნალისტი, პედაგოგი, იურისტი და სხვანი.

* * *

ნიუ-იორკში მაღალ საზოგადოებას ახალი მოდა შემოუღია სადილობისა. სადილს ეხლა ერთს რომელსამე რესტორანის ნაცვლად რამდენსამეში უკვეთავენ, ამასთან ერთ რესტორანში ერთს თავს საჭმელს, მეორეში მეორეს და ასე ყველა საუკეთესო რესტორანებში. როდესაც საზოგადოება პირველ რესტორანში პირველ თავ საჭმელს მიირთმევს, ეტლში ჩასხდებიან, ერთს „გაიკატავებენ" და მეორე რესტორანს მიადგებიან, შემდეგ მესამე, მეოთხე და ამ რიგად ყველას ჩამოივლიან. ნაშუადღევის 4 საათზედ დაწყობილი სადილი საღამოს 10.11 საათზედ ძლივსა თავდება თურმე. ესეც ერთგვარი გართობა იქმნება ფულით ჯიბე გატენილ საზოგადოებისა, რომელმაც არ იცის როგორ მოიხმაროს ფული და დრო.

* * *

ესპანიაში ეხლა ლაპარაკია აღძრული ერთის დიდის არხის გაყვანის შესახებ, რომლის შემწეობითაც ესპანიის მთელი პროვინციები უნდა მოირწყოს. უკანასკნელის ომით და უხეირო წეს-წყობილებით გაღარიბებული ესპანია ხსნას ამ არხისაგანაა მოელის. ესპანია ბუნებით მეტად მდიდარი ქვეყანაა. ნიადაგი, თუ წყალი საკმაო აქვს, საოცარ ნაყოფს იძლევა. მაგრამ უბედურებაც სწორედ ეს უწყლობაა. არხის გაყვანა მართლაც დიდს სარგებლობას მოუტანს მთელს ესპანიას. მხოლოდ ამ არხის გაყვანას დიდი ფული უნდა—400 მილიონი პეზეტი (პეზეტი 23 კაპეიკი იქმნება); ისეთ ღარიბ ქვეყანაში-კი, როგორიც ესპანიაა, 400 პეზეტის შოვნა მაგრე ადვილი არ არის. სამაგიეროდ ეს დიდი არხი 1,500,000 დესეტინა სახნავ მიწას მორწყავს. წელიწადში მთავრობას ამ არხიდგან 33 მილიონი პეზეტი ექმნება შემოსავალი.

* * *

რკინის გზა საუკეთესო საშუალებაა ქალაქის გასამდიდრებლად. რკინის გზას არა ერთი და ორი პატარა სოფელი გადაუქმნია დიდ და მდიდარ ქალაქად. ერთს ამის მაგალითს ინგლისის აწინდელი ქალაქი კრევე წარმოგვიდგენს, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად უბრალო, უმნიშვნელო სოფელი იყო. ამ სოფელზედ რამდენმამე რკინის გზამ გაიარა და ამ გარემოებამ დღეს იგი მდიდარ ქალაქად გადააქცია. კრევეში ამ ჟამად 50,000 მცხოვრებელი იქმნება; უმრავლესობა ამათი რკინის გზების მოსამსახურენი არიან. კრევეში უდიდესი სახელოსნოა, სადაც მატარებლებს და ვაგონებს აკეთებენ.

* * *

არსად არ არის მწყერზედ ნადირობა ისე გავრცელებული, როგორც ეგვიპტეში. ამ ქვეყანაში მცხოვრებელნი ყოველ წელიწადს აუარებელ მწყერსა ჰხოცვენ, როდესაც ეს ფრინველები საზამთროდ ცივის ქვეყნებიდგან ცხელ ქვეყნებისაკენ მიემგზავრებიან. მინდვრები და ველები ამ დროს ხალხითაა თურმე მოფენილი. ეგვიპტე, როგორც ვუწყით, ხმელთა შუა ზღვას სამხრეთით ეკვრის. ჩრდილოეთიდგან მიმავალი მწყრები, ამ ზღვის გადაფრენის დროს დაღლილნი და დაქანცულნი, ეგვიპტეში ნილოსის ნაპირებზედ ეშვებიან შესასვენებლად და აი, სწორედ აქ ებმებიან კიდეც მრავლად ხაფანგებსა და ბადეებში. არაბები წინადვე აგებენ ამ ადგილებში ხაფანგებსა და ბადეებს. მწყერი დაეშვება თუ არა ძირს, მაშინვე ებმება ბადეში. არაბები კარგ ფასადა ჰყიდიან მწყრებს და ფულს ბლომად იღებენ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ნოემბერი

**ლონდონი.** „Daily News"-ს ქაირიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ, როგორც ომდურმანიდგან იუწყებიან, ხალიფი ამ ქალაქის დასაპყრობად გამოემართაო. ინგლისის აფიცრები ამ ერთ კვირაში გაუდგებიან გზას. დაადგინეს ხართუმში სიფორდის რაზმი გაჰგზავნონ.

„Times"-ს დეპეშით ატყობინებენ ბულუვაიოდგან: „27 ოქტომბერს ბურები თავს დაესხნენ ადგილობრივ მკვიდრთა მეთაურს ხამეს, მაგრამ უკან იქმნენ დახეულნი. ხამეს ინგლისის მხარი უჭირავს.

„Daily News კიმბერლეიდგან ატყობინებენ, რომ ბურები ჯერ კიდევ ესვრიან ამ ქალაქს ყუმბარებს, თუმცა ვნებას ვერაფერს აყენებენო.

დურბანიდგან იუწყებიან, აქ ხმა გავრცელდა, რომ გენერალი ჟუბერი გარდაიცვალაო.

**დურბანი.** 30 ოქტომბერი. „Times of Hatal"-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო მარკეზიდგან, რომ ჟუბერი 28 ოქტომბრის ბრძოლაში მოკლულ იქმნაო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო". როგორც ესტკორტსა და პრეტორიიდგან მოსული დეპეშები იუწყება, ხუთშაბათს ბურებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ლედი-სმიტზედ.

**ესტკორტი.** 1 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო". უესტ-იორკშირის რაზმის ბატალიონი აქ მოვიდა. ყუმბარებს ქალაქს კიდევ ესვრიან. დღეს დილით საშინელი ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდა. სამხედრო მატარებელი კოლენზოსკენ გაემართა საზვერავად.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრომ ცნობები მიიღო, მაგრამ ის ხმა, რომ ჟუბერი მოკლულ იქმნაო, არა მართლდება.

5 ნოემბერი

**ლონდონი.** დღეს საღამოთი გავრცელდა ხმა, რომ მოვიდა დეპეშა, რომელიც ჟუბერის სიკვდილს იუწყებაო. მაგრამ აქამდის სამხედრო სამინისტროს ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მიუღია.

**ბერლინი.** როგორც გაზეთებს ატყობინებენ პიტემარიცბურგიდგან, 1 ნოემბერს იქ ზარბაზნების სროლის ხმა მოისმოდა: ბურები ყუმბარებს ესროდნენ ლედი-სმიტს. ამავე დროს ბურები ესტკორტის ქვემოთ დაეშვნენ.

დურბანის გაზეთები იუწყებიან, რომ 28 ნოემბერს ჟუბერი დაჭრილ იქმნაო.

კაპშტადტის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის 4000 ჯარის-კაცი დელაარიდგან გავიდა და ამ ჟამად კიმბერლეიდგან 20 მილის სიშორეზედ იმყოფებაო.

**პარიჟი.** პალატა. მელინი ამბობს, რომ მე არა მსურს არც რეაქცია და არც რევოლიუციაო. ორატორმა გაჰკიცხა მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც სოციალისტებს მართვა-გამგეობის კარი გაუხსნა. კამათის გათავების შემდეგ, პალატამ, 840 ხმის უმეტესობით 215 ხმის წინააღმდეგ, შემდეგი ფორმულა მიიღო მორიგ საქმეებზედ გადასვლისა: „პალატა, მოიწონა რა მთავრობის მიერ მიღებული ზომები რესპუბლიკის დასაცველად, გადადის და სხვა..." ამ ფორმულას მემარცხენენი „გაუმარჯოს რესპუბლიკას!" ძახილით მიეგებნენ.

**პარიჟი.** პალატა. პოლკოვნიკი გერენი იცავდა ნეგრიეს ყოფაქცევას (ტაშის ცემა მარჯვნივ). გალიფე თავს იმართლებდა, ბოლოს განაცხადა, მზადა ვარ პორტფელი ნეგრიეს დავუთმოვო. მემარცხენენი ტაშის ცემით მიეგებნენ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

როგორც მე ისე ალაგირის ჩემდამო რწმუნებულ სკოლის მოსწავლეები და ალაგირის ქართველი საზოგადოება უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ იოსებ ლეჟავას, რომელმაც არ დაიზარა თავისი წვლილი და შემოსწირა ამ სკოლას ოც-დაათი ახალი ქართული წიგნაკი.

მასწავლებელი ალაგირის სკოლისა
პავლე ლომთათიძე

---


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებთ. (100—150—35)

---

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა იყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის" პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **ქუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში,

(50—6.—39) ნ. წერეთელი

---

## კბილის ექიმი
## ს. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

---

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნები:

თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი
ფასი 1 მან.

და

**ქართული სახალხო სიმღერები,**
ნოტებზედ გადმოღებული ი. გ. კარგარეთელის მიერ.
ფასი 50 კ.